№

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

კრებული კანონთა და განკარგულებათა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1923 წლის აგვისტოს 23	№ 2. განყოფილება მეორე	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 10. მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გამოკვლევის შესახებ.

„ 11. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია.

„ 12. სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების სავაჭრო ოპერაციათა და ხელშეკრულებათა შესახებ საზღვარგარეგ.

„ 13. შრომისა, სამუშაო დროისა და შრომის საშოვარის აღნუსხვის შესახებ ამიერკავკასიაში.

„ 14. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის სალიცენზიო საქონელთა სიის დამოუკიდებლად შეცვლის უფლების მიცემის შესახებ.

„ 15. საბაჟო სადარაჯოების დაწესების შესახებ აჰარისტან-ოსმალეთის საზღვრებზე.

„ 16. აჰარისტან-ოსმალეთის საზღვრებით ამიერკავკასიაში შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბაჟო სატარიფო განაკვეთის შესახებ.

„ 17. საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დადგენილება № 8. ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 9

10. მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გამოკვლევის შესახებ.

იმ მიზნით, რათა გამორკვეულ იქნეს ამიერკავკასიაში მუშა-მოსამსახურეთა ზოგადი ნივთიერი მდგომარეობა, მათი ყოფა-ცხოვრების პირობები, გამოკვების ხასიათი, კულტურული მოთხოვნილებანი და აგრეთვე წარმოების სხვა და სხვა დარგში მომუშავე პროფესიათა ჯგუფების რეალური საშუშაო ხელფასის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრისათვის,—ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს მოახდინოს 1923 წლის მარტის განმავლობაში გამოკვლევა სამუშაო ბიუჯეტისა ამიერკავკასიის ფედერაციაში.

2. გამოკვლევის დაწვრილებითი გეგმის და ინსტრუქციის შემუშავება დაეკისროს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს.

3. გაეხსნას ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს აღრიცხვის წესით კრედიტი აღნიშნული გამოკვლევის განხორციელებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ. სა-
ხალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. თებერვლის 11-ს თარიღის 32—№-ში.

---

11. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

თ ა ვ ი I

რევოლიუცია და ამიერკავკასიის მშრომელთა გაერთიანება.

1. რუსეთის პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა მშრომელნი კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასობრივ მჩაგვრელობისაგან და თავისუფლება მოუტანა ყოფილ სამეფო იმპერიის დაჩაგრულ ერებსაც, მიანიჭა რა მათ უფლება თვითგამორკვევისა, თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდეც კი. ამიერკავკასიის გაბატონებულმა კლასებმა თავიანთ ბურჟუაზიულ-მემამულეთა პარტიების სახით ისარგებლეს ამ უფლებით თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის განსამტკიცებლად და გერმანია-ოსმალეთის იმპერიალიზმის კარნახით ჯერ ჩამოაშორეს ამიერკავკასია მუშათა და გლეხთა რუსეთს, შექმნეს რა ამიერკავკასიის რესპუბლიკა სეიმის მეთაურობით, და შემდეგ ერთიანი ამიერკავკასია სამ ნაწილად დაჰყვეს და ცალკე ეროვნულ რესპუბლიკებად წავიდ-წამოვიდნენ. განაგრძობდნენ რა, რუსეთის კონტ-რევოლიუციასა და იმპერიალისტურ ანტანტასთან შეკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას, აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის ბურჟუაზიულ-მემამულეთა მმართველმა პარტიებმა ამ ქვეყნების ხალხთა მასები ერთმანეთს მიუსიეს, ეროვნული სიძულვილი და განხეთქილება გააძლიერეს და სისხლის მღვრელ ბრძოლაში ჩაითრიეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. მარტოოდენ რევოლიუციურმა საბჭოთა გადატრიალებამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, დაამხო რა მჩაგვრელთა ბატონობა და დაამყარა რა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, მოუტანა ამიერკავკასიის ხალხთ ეროვნული მშვიდობიანობა და შექმნა ნიადაგი ძმური თანაცხოვრებისათვის და საერთო მტრის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლისათვის. ამ ნიადაგზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა და ამ რესპუბლიკებში აღმოცენებულ ავტონომიურ ერთეულთა მშრომელებმა, იმ მიზნით, რომ შეთანხმებულად და გეგმის შესაფერისად ემუშავნათ მეურნეობის აღორძინებისათვის და გარეშე და შინაური მტრის მოგერიებისათვის, შეჰქმნეს ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

3. ამ კავშირმა, განაგრძო რა საქმე ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცებისა და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური სოლიდარობის საფუძველზე დაახლოვებისა შემდეგშიაც, გამოიღო სასურველი ნაყოფი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სფეროში. ხოლო, ანგარიში გაუწიეს რა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობას, რომელთაც საერთაშორისო ბურჟუაზია ეკონომიურ ბოიკოტს უწევდა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შესაძლებელი შემოსევა ემუქრებოდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთ საჭიროდ და დროის შესაფერისად ადიარეს შემდგომი პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო გაერთიანება. ამ მიზნით ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ამიერკავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობაზე და დაადგინეს შექმნან ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა.

4. ამიერკავკასიის მშრომელნი, ერთგულნი მუშათა მასის ტრადიციებისა და მისი მისწრაფებისა სოლიდარობისაკენ და ძმური ერთობისაკენ, ამავე დროს აღფრთოვანებით აცხადებენ მთელი მშრომელი კაცობრიობის წინაშე, რომ სრულიად მზად არიან საბჭოთა რესპუბლიკების მუშებთან და გლეხებთან ერთად შექმნან ერთიანი საბჭოთა ფრონტი მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის. ამის მიხედვით ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია შექმნას სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი,—ეს პირველი სახე ყველა საბჭოთა ქვეყნის მძლავრი მსოფლიო კავშირისა.

კარი მეორე.

თავი II.

მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ამიერკავკასიის ყრილობა.

5. ამიერკავკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება არის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა დამეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ამიერკავკასიის ყრილობა.

6. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობა შესდგება ქალაქთა საბჭოების წარმომადგენელთაგან, იმ ვარაუდით, რომ ყოველ 3.000 ამომრჩეველზე მოდიოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო დეპუტატი და საბჭოთა სამაზრო ყრილობის წარმომადგენელთაგან, იმ ვარაუდით, რომ ყოველ 15.000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დეპუტატი.

შენიშვნა. უკეთუ საბჭოების რესპუბლიკანური ყრილობა წინ უსწრებს ამიერკავკასიის ყრილობას, დელეგატები ამ უკანასკნელისათვის შეიძლება გაიგზავნოს რესპუბლიკანური ყრილობის მიერ.

7. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობას მოიწვევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ.

8. ამიერკავკასიის საბჭოთა საგანგებო ყრილობას მოიწვევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თვისი თაოსნობით ან და ერთ-ერთ იმ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით, რომელიც შედის ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში.

9. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობა აირჩევს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 150 წევრისა და 50 კანდიდატისაგან.

თავი III

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

10. ამიერკავკასიის საბჭოთა ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

11. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მთლად პასუხისმგებელია ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობის წინაშე.

12. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არის უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის გამწევი ორგანო.

13. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს საერთო მიმართულებას მუშაობა და გლეხთა მთავრობისა და ამიერკავკასიის საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს მოქმედებას, აერთიანებს და ათანხმებს საკანონმდებლო მუშაობას და თვალყურს ადევნებს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციისა, ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობათა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი სახელმწიფო ორგანოს დადგენილებათა განხორციელებას.

14. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და დამტკიცებს დეკრეტების პროექტებსა და ყოველ სხვა წინადადებას, რასაც წარუდგენს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ცალკე სახელმწიფო ორგანო და აგრეთვე გამოსცემს საკუთარ დეკრეტებსა და განკარგულებებს.

15. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავისი მოქმედების ანგარიშს და მოხსენებებს საერთო პოლიტიკისა და ცალკე საკითხების შესახებ წარუდგენს ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობას.

16. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 13 წევრისაგან, მათ შორის სამი თავმჯდომარისა, ერთი მდივნისა და პრეზიდიუმის წევრთა ექვსი კანდიდატისაგან.

17. ამერიკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სასესიო სხდომისათვის მოიწვევს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ყოველ ოთხ თვეში ერთხელ.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიას მოიწვევს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვისი თაოსნობით, ამერიკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით ან ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა $^1/_3$-ის მოთხოვნით.

18. ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს;

ბ) ამზადებს მასალას ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისათვის;

გ) წარუდგენს განსახილველად ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიას დეკრეტთა პროექტებს;

დ) თვალყურს ადევნებს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებათა აღსრულებას;

ე) გამოსცემს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორე სესიამდე დეკრეტებსა და დადგენილებათ ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით და ამის ანგარიშს ჩააბარებს ამავე კომიტეტს;

ვ) ეწევა ურთიერთობას ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით;

ზ) განიხილავს შუამდგომლობას შეწყალების შესახებ, დაამტკიცებს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას და გადასწყვეტს სხვა საკითხებს მმართველობის წესით;

თ) უფლებამოსილია ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე დაამტკიცოს ამერიკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი, აგრეთვე შეაჩეროს მისი გარდაწყვეტილებანი და გადაიტანოს განსახილველად ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის უახლოეს სესიაში;

ი) დანიშნავს ცალკე სახალხო კომისრებს, სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით;

კ) არის ხელმძღვანელი ცენტრი ინსტრუქტორობის გაწევისა, როგორც ხელის უფლების ფედერალური ორგანოების მთელი მუშაობისთვის, ისე ამერიკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთა მთელი მუშაობისათვის.

19. ყველა საკითხი ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტეტის სხდომაზე გადასწყდება ხმის აწკარა მიცემით და ხმის მარტივი უმრავლესობით. ხოლო დასახელებით ხმის მიცემა მოხდება, უკეთუ ამას წერილობითი განცხადებით მოითხოვს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არა ნაკლებ ოცი წევრისა.

20 ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის საქმეთა საერთო გამგებლობისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შეადგენს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატებსა და სხვა ორგანოებს მმართველობის ცალკე დარგთა ხელმძღვანელობისათვის.

21. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი მუშაობენ ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებსა და სხვა ორგანოებში, ან შეასრულებენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებულ მინდობილობას.

თავი IV.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

22. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მართვა-გამგეობის სათავეში სდგას ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

23. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო შესდგება თავმჯდომარისა, ორი მისი მოადგილისა და შემდეგი სახალხო კომისრებისაგან: ა) გარეშე საქმეთა, ბ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა, გ) საგარეო ვაჭრობისა, დ) გზათა, ე) სასურსათო, ვ) ფინანსისა, ზ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, თ) შრომისა და ი) ფოსტა-ტელეგრაფისა. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს შედგენილობაში შედის გადამწყვეტი ხმის უფლებით თავმჯდომარე ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა კონტრ-რევოლიუციასა, სპეკულიაციასა და თანამდებობრივ დანაშაულობასთან ბრძოლისათვის.

24. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა უმაღლესი ეკონომიური საბჭო, როგორც ორგანო, რომელმაც უნდა წარმართოს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური პოლიტიკა და ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისა და რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს.

25. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო თავისი მიზნის განსახორციელებლად გამოსცემს დეკრეტებსა, განკარგულებათ, ინსტრუქციებს და საზოგადოდ მიიღებს ყოველ ღონისძიებას, რაც საჭიროა სახელმწიფო ცხოვრების წესიერი და სწრაფი მიმდინარეობისათვის.

26. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება, რომელსაც თვალსაჩინო ზოგად-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, უნდა წარედგინოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად და დასადასტურებლად.

შენიშვნა: ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლიან ამ მუხლში აღნიშნული ღონისძიებანი, რაც მოითხოვს გადაუდებლად აღსრულებას, თვითვე უმშვეოდ განახორციელოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო სავსებით პასუხისმგებელია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

28. ამიერკავკასიის სახალხო კომისრები სავსებით პასუხისმგებელნი არიან ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

29. ამიერკავკასიის ყოველ სახალხო კომისართან, სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით, შესდგება კოლეგია, რომლის წევრთაც დაამტკიცებს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

30. ამიერკავკასიის სახალხო კომისარს უფლება აქვს თავისთავად გადასწყვიტოს ყოველი საკითხი, რაც სათანადო კომისარიატის უწყებას ექვემდებარება, ხოლო ეს გადაწყვეტილება კოლეგიას უნდა აცნობოს. უკეთუ კოლეგია არ დაეთანხმა კომისარის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მას შეუძლიან განსაჩივროს იგი ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში, ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულებას ვერ შეაჩერებს; იგივე უფლება განსაჩივრებისა აქვთ კოლეგიის ცალკე წევრთაც.

თავი V.

ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგნები.

31. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ექვემდებარება ყოველი საკითხი ზოგადად—სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, როგორიც არის:

ა) ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება, შეცვლა და შევსება;

ბ) სხვა სახელმწიფო ერთეულთა მიღება ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში და ნების დართვა ამ რესპუბლიკიდან მისი ცალკე ნაწილის გამოსვლისათვის.

გ) ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთლად სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკე დარგების საფუძველთა და საერთო გეგმის დაწესება და საკონცესიო ხელშეკრულებათა განხილვა;

დ) ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება;

ე) ფედერალურ და ადგილობრივ გადასახადთა დაწესება და აგრეთვე ფედერალური სახელმწიფო ბანკის დაარსება;

ვ) ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოწყობა;

ზ) ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მიწათმოწყობისა და სარგებლობის საფუძველთა დამყარება და აგრეთვე მიწის წიაღის სარგებლობა.

თ) რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობათა, რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთა და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების იმ დადგენილებათა გაუქმება, რაც ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციას დაარღვევს.

ი) ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე წევრებისა და ამა საბჭოს შედგენილობის მთლიანად დანიშვნა და გადაყენება, აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და მის მოადგილეთა დამტკიცება;

კ) ამნისტიის უფლება;

ლ) ფედერალური სტატისტიკის მოწყობა;

მ) სასამართლოს წყობილებისა და სასამართლოს საქმეთა წარმოების საფუძველთა და აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა დაწესება და

ნ) ადგილობრივი ხელ[illegible]თის საგარეო სესხის აღება.

32. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას ექვემდებარება ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითად საფუძველთა დაწესება, შეცვლა და შეცვლა.

33. 32 მუხლში აღნიშნული საკითხის გარდაწყვეტის უფლება ეძლევა ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობის მოწვევა შეუძლებელია.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

ᲗᲐᲕᲘ VI.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთი დამოკიდებულება და ცალკე რესპუბლიკათა კონსტიტუცია.

34. უმაღლესი ხელისუფლება ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა არის საბჭოთა ყრილობანი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, ამ რესპუბლიკათა კონსტიტუციის თანახმად არჩეულნი და მომქმედნი.

35. რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებსა და რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ექვემდებარება ყველა საკითხი რესპუბლიკანური ხასიათისა, იმ საკითხის გარდა, რაც ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს.

36. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ყოველი რესპუბლიკის მართვა-გამგეობის სათავეში სდგას სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც შესდგება შინაგან, იუსტიციისა, განათლებისა, მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისაგან. თვითეულ სახალხო კომისართა საბჭოს შედგენილობაში შედიან აგრეთვე ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა რწმუნებულნი სათათბირო ხმის უფლებით.

37. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა რწმუნებულთა რესპუბლიკებში დანიშნავენ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

ამერიკაკავასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა რწმუნებულნი უკლებლად ასრულებენ თავის სახალხო კომისარის ყოველ დირეკტივსა და გადაკარგულებას და ამავე დროს ანგარიშს თავიანთი სამოდამდღეო მუშაობის შესახებ უდგენენ სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

კარი მეოთხე.

თავი VII.

საბიუჯეტო უფლება.

38. ამერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი გაერთიანებულია საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში.

39. ამერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი, ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო დადგენილებით განსაზღვრული, გაერთიანდება რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებად, რომელსაც დამტკიცებს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და რომელიც შედის ამერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც მისი მთლიანი შემადგენელი ნაწილი.

უკეთუ ცალკე რესპუბლიკების ბიუჯეტში გასავალი აღემატა შემოსავალს, დანაკლისი შეივსება ამერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინიდან.

40. ადგილობრივი მეურნეობის შემოსავალი და გასავალი, აგრეთვე ის შემოსავალი და გასავალი, რაც ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით გადაეცემა მაზრებსა და ქალაქებს, — გაერთიანდება სამაზრო საბჭოების ადგილობრივ ბიუჯეტებად და იმ საქალაქო საბჭოებისა, რომელნიც ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით გამოიყოფა მაზრებიდან ცალკე სამეურნეო ერთეულებად. ადგილობრივ ბიუჯეტს დამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

41. ამერკავკასიის საბჭოთა ყრილობა ან ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს, რა და რა გვარი დაბეგვრა და შემოსავალი უნდა დაწესდეს და რა ფარგლებში, აგრეთვე განსაზღვრავს, სახელდობრ რომელი შემოსავალი და გასავალი და რა რაოდენობით ჩაირიცხება საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში, რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

42. ამერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკები აწესებენ იმ ადგილობრივი გადასახადითა და გამოსაღებით დაბეგვრას, რომელიც დადგენილი არ არის 41 მუხ. აღნიშნული წესით; ეს დაბეგვრა მოხდება მარტოოდენ თავისი და ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარავად, ხოლო ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი ნებართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. არავითარი ხარჯის გაწევა სახელმწიფო ხაზინის საშუალებათაგან არ შეიძლება, უყეთუ ამის შესახებ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის ნუსხაში კრედიტი არ იქნა წარდგენილი, ან უყეთუ ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ცალკე დადგენილება არ გამოსცა.

44. ყოველი კრედიტი, რაც აღნიშნულია საერთო სახელმწიფო ან რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში, უნდა იხარჯებოდეს საარრიცხვო განაწილებათა ფარგლებში პირდაპირი დანიშნულებისამებრ და არ შეიძლება მიქცეულ იქნეს სხვა რაიმე საჭიროების დასაკმაყოფილებლად, თვინიერ ამირკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე დადგენილებისა. ადგილობრივ ბიუჯეტებში აღნიშნული ყოველი კრედიტიც საარრიცხვო განაწილებათა ფარგლებში უნდა იხარჯებოდეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ და არ შეიძლება მიქცეულ იქნეს სხვა რაიმე საჭიროების დასაკმაყოფილებლად, თვინიერ სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე დადგენილებისა.

კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე.

თ ა ვ ი VIII

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ღერბი და დროშა.

45. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა ღერბის ზემო ნაწილში, მთაგრეხილისა და ამომავალი მზის არეზე გამოსახულის ოქროს ნამგალი და სანგი, გადაჯვარედინებული ისე, რომ ორივეს ტარი ქვემოდ არის მოქცეული; ამათ ზევით მოთავსებულია ხუთკუთხიანი წითელი ვარსკვლავი. ღერბის ქვემო ნაწილში, სამ მწვერვალიანი მთაგრეხილის ძირში გამოსახულია: მარჯვენით სანავთე ჩარდახი, მარცხნით კვამლის აღმომშენავი ქარხანა და შუაგულში ვაზი, ბამბა, ბრინჯი, სიმინდი და ხორბლის თავთავი. მთლად ღერბს გარს შემოვლებული აქვს წითელი (ალის ფერი) ლენტი, რომელზედაც ოქროს ასოებით, მარცხნიდან მარჯვნით, სწერია სომხურსა, რუსულსა, ქართულსა და თურქულ ენაზე — „ა.-კ. ს. ფ. ს. რ.“ ღერბის ძირში ლენტით შემომლებულ ოქროს არეზე მოთავსებულია ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

46. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის დროშა შესდგება წითელი (ალის ფერი) ქსოვილისაგან, რომლის კუთხეშიც, ბუმთან, ზევით მოთავსებულია ნახევარ რკალად ოქროს სასიები „ა.-კ. ს. ფ. ს. რ.“, ხოლო მის თავზე, მარცხენა კუთხეში ოქროთი გარს შემოვლებული ხუთკუთხიანი წითელი ვარსკვლავი.

კ ა რ ი მ ე ე ქ ვ ს ე.

თ ა ვ ი IX.

ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების რეზიდენცია.

47. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულების რეზიდენციად არჩეულია ქალაქი ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუცია ესე მიღებულია ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა პირველი ყრილობის მიერ 1922 წლის დეკემბრის 13-ს და გამოქვეყნებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის მიერ 1923 წლის იანვრის 16-ს.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის პრეზიდიუმი.

ა. აღამალი-ოღლი, ა. გეგეკკორი, მ. ჰუსეინოვი, ს. კრილოვი, ვ. სტურუა, შ. ელიავა, ხ. ამბარცუმიანი, ა. გინზბურგი, ს. კიროვი, ა. მიასნიკოვი, მ. ცხაკაია, ს. იაკუბოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება № 9. ამიმრკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 15.

12. სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების სავაჭრო ოპერაციათა და ხელშეკრულებათა შესახებ საზღვარგარეულ.

რათა მოწესრიგებულ და გაადვილებულ იქნეს სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციათა სავაჭრო ოპერაციები უცხოეთთან ეკონომიური ურთიერთობის სფეროში, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თავის მოქმედებას უცხოეთში ანხორციელებს თავისი სავაჭრო წარმომადგენლების მეშვეობით.

2. განსაკუთრებული სიით სისწორით განსაზღვრულ სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებს, აგრეთვე ამიერკავკასიის კოოპერ-ციის შენაერთს—ამიერკავკასიის კავშირს,—საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის აუცილებელი დაცვის პირობით, უფლება ეძლევათ თითონ აწარმოონ უცხოეთთან სავაჭრო ოპერაციები თავიანთი სპეციალური წარმომადგენლების მეშვეობით.

შენიშვნა: ასეთ სამეურნეო ორგანიზაციათა სიას შეადგენს ამიერკავკასიის საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და მასში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი და აგრეთვე ამიერკავკასიის კავშირის წარმომადგენელი—აწარმოებენ თავის სავაჭრო ოპერაციას უცხოეთთან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო წარმომადგენლის (ანა'ოუ იმ ქვეყანაში) უმეშვეო ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ.

ტფილ. სახელმწ. წიგნ. ბიბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ყველა სამეურნეო ორგანიზაცია ვალდებულია თვითეული მის მიერ განზრახული სავაჭრო ოპერაციის შესახებ წინასწარ აცნობოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს ან მის სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობას. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ან მის სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობას უცხოეთში უფლება ეძლევა თავის პასუხისმგებლობით დაადოს აკრძალვა თვითეულ ასეთ ოპერაციას; აკრძალვა, ამასთანავე, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული.

5. უცხოეთში მომხდარი გარიგება, დადებული და ხელმოწერილი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა ან მისი სავაჭრო წარმომადგენლობის (ცალკე ქვეყნებში) მიერ, ან და იმ ორგანოსა და პირის მიერ, რომელიც საამისოდ სპეციალურად იქნება რწმუნებამოსილი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცალკე დადგენილებით თვითეულ შემთხვევაში,—სავალდებულოა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

6. ხოლო უცხოეთში მომხდარი გარიგება, დადებული ამა დადგენილების 2, 3, და 4 მუხლში აღნიშნული წესით,—ჩაითვლება სავალდებულოდ მხოლოდ იმ სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციისათვის, რომელმაც ხელი მოაწერა ამ გარიგებას. ასეთი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მისი კუთვნილი ქონების ფარგლებით. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და სახალხო კომისართა საბჭოები, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და აგრეთვე სახალხო კომისარიატი და უწყება, რომელსაც აღნიშნული სამეურნეო ორგანო ექვემდებარება, არ ეწევიან არავითარ სოლიდარულ ან დამატებითი ქონებრივ პასუხისმგებლობას ასეთი გარიგებისათვის.

შენიშვნა. ამა დადგენილების 2, 3 და 6 მუხლში აღნიშნული წესით დადებულ ხელშეკრულებაში აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს პუნქტი, რომლის ძალითაც კონტრაგენტი ვალდებულია ყოველგვარი პრეტენზია, რაც შესაძლოა წარმოიშვას გარიგებიდან, წარუდგინოს მარტოოდენ ამ გარიგების დამდებ და ხელისმომწერ ორგანოს და უარს ამბობს წარუდგინოს რაიმე პრეტენზია ამიერკავკასიის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს და აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატს და უწყებას, რომელსაც ექვემდებარება ესა თუ ის სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაცია.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი უცხოეთში - მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცეს ხოლმე ცალკე ინსტრუქციები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი **ა. ივანიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 16-ს თარიღის 36 №-ში.

დადგენილება № 10 ამიერკავკასიის სოციალ. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 16.

13. შრომისა, სამუშაო დროისა და შრომის საშოვარის აღნუსხვის შესახებ ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ ამიერკავკასიაში შრომისა, სამუშაო დროისა და სამუშაო ხელფასის აღნუსხვის შესახებ 1922 წლის ოქტომბრის 14 ს თარიღითა და 45 ნომრით გამოცემული დადგენილების 2 და 3 მუხლის შესაცვლელად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო, საიჯარო, კოოპერატიული და კერძო სამრეწველო საწარმო, სადაც მუშათა რიცხვი არ აღემატება 16 კაცს მამოძრავებელით და 30 კაცს უამისოდ, — ვალდებულია, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 ს რიცხვის, წარადგინოს ხოლმე ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ შრომის სტატისტიკის ბიუროში მუშა ძალის სასწრაფო აღნუსხვის ბარათი.

2. ხოლო სამრეწველო საწარმო, სადაც მუშათა რიცხვი აღემატება 16 კაცს მამოძრავებელით და 30 კაცს უამისოდ, ყველა სამთო და სამთო-საქარხნო საწარმო და აქციზით დაბეგვრილი საწარმო, განურჩეველად იმისა, თუ რამდენი კაცი მუშაობს იქ, ვალდებულია აგრეთვე, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5-ს რიცხვისა, წარადგინოს ხოლმე ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ შრომის სტატისტიკის ბიუროში შრომის საღნუსხვო ბარათი (№ 1) და არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20-ს რიცხვისა — შრომის საშოვარის საღნუსხვო ბარათი (№ 2).

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 17 თარიღის 37 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 11 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 15.

14. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის სალიცენზიო საქონელთა სიის დამოუკიდებლად შეცვლის უფლების მიცემის შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ საქონელთა გაზიდვა-შემოზიდვისა და მათი კლასიფიკაციის წესის შესახებ 42 ნომრით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის დასამატებლად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დამოუკიდებლად შესცვალოს და შეავსოს ხოლმე სალიცენზიო საქონელთა სია.

2. დადგენილება ეს ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 17-ს თარიღის 37 №-ში.

დადგენილება № 12. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 15.

15. საბაჟო სადარაჯოების დაწესების შესახებ აჭარისტან-ოსმალეთის საზღვრებზე.

1. დაწესებულ იქნეს გადასასვლელი საბაჟო სადარაჯოები აჭარისტან-ოსმალეთის შემდეგ სანაპირო პუნქტებში: მაჩხალის-პირი, მერისი და სარიჩი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 17-ს თარიღის 37 №-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 13. ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 15.

16. აჭარისტანი—ოსმალეთის საზღვრებით ამიერკავკასიაში შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბაჟო სატარიფო განაკვეთის შესახებ.

1. გავრცელებულ იქნეს დროებით აჭარისტანი—ოსმალეთის ხმელეთის საზღვრებით ამიერკავკასიაში შემოტანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საბაჟო სატარიფო დებულებანი, რაც, აზიის ვაჭრობის საბაჟო ტარიფის თანახმად, შეფარდებულია აღაანის საზღვრებით და თურქმენის ოლქის საზღვრებით მის ფარგლებში სპარსეთიდან კასპიის ზღვით და ხმელეთის—საზღვრებით შეტანილი სპარსული საქონლისათვის.

2. ამა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ეკუთვნის: არა განსაკუთრებით დამზადებული ბოსტნეულობა, ხახვი, ნიორი, ხილეულობა და ნედლი მარწყვეულობა, მათ რიცხვში ფორთოხალი, ყოველგვარი კაკლეული და თხილეული (გარდა ნუშისა და ფსტისა), რძე და მაწონი, ცხვრისა და ძროხის ერბო, ყველი, ხაჭო სველი და მშრალი, კვერცხი და ხორცი.

3. დადგენილება ესე შედის მოქმედებაში მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. თებერვლის 17-ს თარიღის 37 №-ში.

დადგენილება № 14. ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 20.

17 საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ერთიანი შეთანხმებული საკრედიტო პოლიტიკის დასამყარებლად, რასაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში უნდა ანსორციელებდეს ყველა საკრედიტო დაწესებულება, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაეკისროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობა ყველა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებისა, რომელიც მოქმედებს ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თანახმად სათანადო წესებისა და აგრეთვე კონტროლი მათი მოქმედებისათვის.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ყოველი სსხელმწიფო საკრედიტო დაწესებულება თავისი საორგანიზაციო და საოპერაციო მოქმედებით უშუალოდ ექვემდებარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატს უფლება ეძლევა: შეიტანოს ცვლილება და დამატება მომქმედ წესდებაში; ნება დართოს ფილიალების გახსნისათვის; დანიშნოს მმართველი და გამგეობის წევრნი; დაამტკიცოს საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, აგრეთვე წევრები გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტისა; დაამტკიცოს ანგარიშები და აღრიცხვანი; გადასწყვიტოს საკრედიტო დაწესებულების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები; განსაზღვროს ძირითადი თანხის გადიდების რაოდენობა და გადასწყვიტოს ყველა საკითხი, რაც საზოგადო კრების მიერ, წესდების ძალით, წარედგინება მთავრობის ორგანოებს დასამტკიცებლად.

4. დაეკისროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ზედამხედველობა საზოგადო და კერძო საკრედიტო დაწესებულებათათვის, რომელნიც მოქმედებენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

5. შესაძლებლად იქნეს ახალ საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თვითეულ ცალკე შემთხვევაში ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებადართვით; ხოლო ფინანსთა სახალხო კომისარიატი საბოლოო დამტკიცებისათვის სათანადო წესდებას უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წარუდგენს.

6. დაეკისროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყველა სახის საკრედიტო დაწესებულებისათვის ნორმალური წესდების შემუშავება; მასვე მიეცეს უფლება—ამა დადგენილების განვითარებისა და შეფარდებისათვის—გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები და წესები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. თებერვლის 21-ს თარიღის 40 №-რში.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა საჯარო წიგნთსაცავი

ნებადარ. ლ და გ. მთ. მართ. № 535. ს. ს. მ. უ. პოლ. გან. 1-ი სტამბა, პლეხ. 91. დაიბ. 1500 ც.